

# რა ბედი ელის მაგისტრალურ გაზსადენს, ენგურჰესს და ლარს?

„ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს უსაქმური კაცისა და  
მახათის ისტორიას“

გაზეთი “ყველა სიახლე” – 27 იანვარი – 2 თებერვალი, № 3, 2011

საქართველოს ეკონომიკის პრობლემებზე გვესაუბრება ეკონომიკის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა:

– ბატონო ლადო, თვის დროზე ძალიან დიდი აუთოტაჟი მოჰყვა  
ენგურჰესის შესაძლო გასხვისების ამბავს. ხომ არ იცით, როგორ გადაწყდა ეს  
საკითხი?

– სამწუხაროდ, არ არსებობს ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებდა, ან  
უარყოფდა საქართველოს გარიგებას რუსეთთან, კერძოდ, „ინტერ რაოსთან“. ეს  
ინფორმაცია ჯერჯერობით ხელმისაწვდომი არ არის. მკითხველს შევახსენებ,  
რომ გაზეთი „რეზონანსი“ ცდილობდა ენერგეტიკის სამინისტროსაგან  
მოეპოვებინა ეს ინფორმაცია და როცა მიზანს ვერ მიაღწია, სასამართლოში  
იჩივლა. როგორც ვიცი, გაზეთმა საქმე ყველა ინსტანციაში წააგო.  
ჯერჯერობით „ენგურჰესის“ საკითხი ბუნდოვანია და ეს საზოგადიებაში  
მხოლოდ ეჭვსა და უარყოფით ემოციას ბადებს. ამ საკითხზე ვესაუბრე ჩემ რუს  
კოლეგებს, ექსპერტებს. როგორც მითხვეს, დაინტერესებული იყვნენ „ინტერ  
რაოსგან“ შეეტყოთ, არსებობს კონტრაქტი თუ მხოლოდ მემორანდუმი  
გაფორმდა საქართველოსთან. მათაც ვერანაირი ინფორმაცია ვერ მიიღეს, ანუ ეს  
საკითხი გასაიდუმლოებულია როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მხარის  
მიერ. სამწუხაროა, რომ არ ვიცით, რა სტატუსი აქვს დღეს ენგურჰესს.

– არანაკლებ მნიშვნელოვანია მაგისტრალური გაზსადენის საკითხიც,  
რომლის გასხვისებაზე ლაპარაკი კვლავ დაიწყო.

– რაც შეეხება მაგისტრალურ გაზსადენს, მისი გასხვისების თემაც არ არის ახალი. „გარდების რეგოლუციის“ გზით მოხულ ხელისუფლებას თავიდანვე უნდოდა მისი გაყიდვა. გაზსადენის გაყიდვა სურდათ პრეზიდენტს, ზურაბ ნოღაძეს, ნიკა გილაურს, კახა ბენდუქიძეს და მათ თანამოაზრებს მთავრობაში. 2005 წლის ბოლოს და 2006 წლის დასაწყისში მოლაპარაკებაც მიმდინარეობდა „გაზპრომსა“ და საქართველოს მთავრობას შორის. ჩვენი ქვეყნის მთავრობა ითხოვდა 300 მილიონ ლოდარს, ხოლო „გაზპრომი“ თანახმა იყო 150 მილიონი ლოდარის გადაეხადა. ალბათ რაღაც შეთანხმებამდეც მივიდოდნენ, მაგრამ მოლაპარაკება ჩაშალა აშშ-მა. საქართველომ აიღო გალდებულება, რომ, სულ ცოტა, 5 წლის განმავლობაში არ უნდა გაეყიდა მაგისტრალური გაზსადენი, ამის სანაცვლოდ „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამიდან“ საქართველოს მთავრობას 49,5 მილიონი ლოდარი გამოეყო, რომელიც გაზსადენის რეაბილიტაციისათვის უნდა დახარჯულიყო. ეს კონტრაქტი გაფორმდა 2006 წლის გაზაფხულზე და ახლა, 2011 წელს გასდის ვადა. შეგახსენებთ, რომ შარშან, გაზაფხულზე პარლამენტში ცხელი დებატები მიმდინარეობდა, ამოედოთ თუ არა გაზსადენი იმ ობიექტების ნუსხიდან, რომელთა გასხვისება არ შეიძლება. ხელისუფლებამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და გაზსადენი ამოიღეს ამ ნუსხიდან. ასე რომ, 2011 წლის აპრილიდან მთავრობას შეუძლია გაყიდოს ეს მნიშვნელოვანი ობიექტი.

– ბატონო ლადო, ვინ არის დაინტერესებული ყველაზე მეტად მაგისტრალური გაზსადენის შეძენით?

– სხვათა შორის, ნოემბრის დასაწყისში, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ჩინეთში იმყოფებოდა, განაცხადა, რომ მთავრობა აპირებს გაზსადენის გაყიდვას და ჩინელ ბიზნესმენებს მოუწოდა მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში. დღეს კი სურათი ასეთია: გამოიკვეთა 2 მხარე, რომელიც დაინტერესებულია გაზსადენის შეძენით: ეს არის აზერბაიჯანული „სოკარი“ და რუსული – „გაზპრომი“. „გაზპრომის“ ინტერესი აშკარაა იმიტომ, რომ „გაზპრომი“ აკონტროლებს გაზსადენებს როგორც რუსეთის, ასევე სომხეთის ტერიტორიაზე. ის ვერ აკონტროლებს მხოლოდ 225-კილომეტრიან მონაკვეთს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, ამიტომ, ბუნებრივი „გაზპრომს“ სურს, მაგისტრალური გაზსადენი შეიძინოს. რისთვის უნდა გაზსადენის შეძენა „სოკარს“? – თუ აზერბაიჯანი შეიძენს გაზსადენს, დამატებითი ბერკეტი გაუზიდება სომხეთზე ზეგავლენისათვის. საქართველოსთვის კი ორივე სცენარი წამგებიანია – 0,7 გაზსადენი ხელში

ჩაუგარდა „ბაზარომს“, მს ნიშნავს, რომ კიდევ უფრო ბაგებებით რუსულ კაბალაში, ხოლო თუ ჩაუგარდა „სოკარს“, მს ნიშნავს, რომ აზერბაიჯანულ-სომხური კონფრონტაციის ახალი ტალღა უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე გაიცლის. რაც მთავარია, რუსული ბაზის ბატარებისათვის საქართველო იღებს გატარებული აირის 10 პროცენტს. მს არის ტრანზიტის საფასური და თუ ბაზსადენს გაასხვისებენ, ბუნებრივია, ტრანზიტის საფასური ჩვენი ადარ იძნება. შედებად, ბუნებრივი აირი საქართველოს შესაძლებელი იქნება. მს იმას ნიშნავს, რომ ტარიფი გაძვირდება შველასათვის – რობორც წარმოებისათვის, ისე მოსახლეობისთვისაც.

– ბოლო ხანს ლარის კურსი საგრძნობლად დაეცა. მომავალშიც ხომ არ გაგრძელდება ეს უსიამოვნო პროცესი?

– არ ვიზიარებ იმ თვალსაზრისს, რომ ლარის კურსი ძალიან დაცემულია. ბუნებრივია, ახალი წლის დადგომამდე ლარზე მოთხოვნა გაიზარდა, რამაც გამოიწვია ლარის გამყარება. ეს ყოველ წელს ასე ხდება, რადგან საახალწლოდ მოსახლეობა ხარჯავს თავის დანაზოგს. იანვარში ლარის გაუფასურებაც ჩვეულებრივია ამბავია. ამ ეტაპზე ლარის კურსი პროგნოზულ ფარგლებში მერყეობს. თანაც, 21 იანვარს გაიმართა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის შეხვედრა ქართველ ექსპერტებთან, სადაც ერთმანეთს თვალსაზრისი გავუზიარეთ. მე დავინახე, რომ ეროვნული ბანკი ჯანსაღად აფასებს და აკონტროლებს შექმნილ სიტუაციას, თუმცა ქვეყანაში ინფლაცია კვლავ მაღალია, რასაც ქვეყნის პრეზიდენტიც აღიარებს. ეს კი მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით არის განკირობებული. მოგეხსენებათ, ჯანსაღ სხეულს ორი ხელი აქვს, რომელიც სინქრონულად უნდა ასრულებდეს თავის ფუნქციას. ჩვენი ეკონომიკის ერთი ხელი არის ეროვნული ბანკი, მეორე კი – მთავრობა თავისი ბიუჯეტით. სამწუხაროდ, ეს ორი ხელი სინქრონულად არ მუშაობს. ეროვნული ბანკი ცდილობს, – ნორმალური პოლიტიკა გაატაროს და მაკროეკონომიკური სტაბილურობა შეინარჩუნოს, მთავრობა კი მის მცდელობას აბათილებს. ანუ ჩვენ პრობლემა გვაქვს მთავრობასთან და არა – ეროვნულ ბანკთან.

– ბატონო ლადო, 2011 წლის მოსვლასთან ერთად ახალ-ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა. ზოგიერთი რეიტინგის მიხედვით საქართველო მოწინავე ქვეყანაა მთელ მსოფლიოში, ხოლო ზოგგან აფრიკის ჩამორჩენილ ქვეყნებს „გუმშვენებთ“ მხარს. თქვენი აზრით, რამდენად სანდოა ეს მონაცემები?

– სიტუაცია ძალიან მარტივია: არის რეიტინგები, რომლითაც საქართველო ძალიან წარმატებული ჩანს, მაგალითად, ეს არის ცნობილი

რეიტინგი ბიზნესის წარმართვის შესახებ, რომელსაც მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია ადგენენ. არის ისეთი რეიტინგები, სადაც ქვეყანა საკმაოდ ჩამორჩენილია. არც ერთს უნდა ვენდოთ და არც მეორეს, რადგან სინამდვილეში ეს რეიტინგები არის პასუხი კითხვებზე, რომლებსაც ამ გამოკითხულებს უსვამენ. აქ მოქმედებს პრინციპი – რასაც ჩასძახებ, იმას ამოგდახებენ. ჩვენ რეალურად უნდა შევაფასოთ სიტუაცია, ის, თუ როგორი ეკონომიკური ვითარებაა ქვეყანაში. რეალური სურათი კი საკმაოდ სავალალოა: თუ „პარლების რეპოლუციის“ შინ საქართველოში მთლიანი შიბა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე მეტი იყო, ვიდრე სომხეთში, დღეს ის 25 პროცენტით მეტია. ადრე მთლიანი შიბა პროდუქტი ჩვენს ცოტა მეტი იყო აზერბაიჯანში, დღეს კი ორჯერ მეტია. ჩვენი ბაზალგებული სტატისტიკაც კი ბვიჩვენებს, რომ საქართველოში დღეს ეპონომიკური სიტუაცია უარმსია, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში. აღარაფერს ვამბობ მოწინავე ქვეყნებზე. რეიტინგები კი, რომლითაც გვამარაგებენ, უბრალოდ, მარაზმია და სხვა არაფერი. ეს ყველაფერი ძალიან გვაგონებს უსაქმური კაცისა და მახათის ისტორიას, შეიძლება უხეშად ვამბობ, მაგრამ ეს მართლა ასეა.

**ესაუბრა ხათუნა ჩიგოგიძე**